

მოსახლეობის
ჯანმრთელობისა და
უსაფრთხოების
დაცვის გეგმა 2019 წ.
ზაფხულის სეზონზე
სანაპიროს
გასახსნელად
(საბოლოო ვერსია)

ნაპირდაცვა

ბათუმი

კონტრაქტი No: P42414-SUTIP4-ICB-01-2016 და
ცვლილება #2

ივნისი 2019

სარჩევი

1. [პროექტის აღწერა](#)..... **Error! Bookmark not defined.**
2. [შესავალი](#) **Error! Bookmark not defined.**
3. სამუშაოების [სფერო](#) **Error! Bookmark not defined.**
4. [რისკების შეფასება მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში და ზაფხულის სეზონზე](#)
..... **Error! Bookmark not defined.**
5. [ოპერატიული ინსტრუქციები კონტრაქტორის, დამკვეთის, ინჟინრებისა და მუნიციპალიტეტისთვის](#) **Error! Bookmark not defined.**
6. [ლოკაციები და ხანგრძლივობა:](#) 10
7. [სამუშაოები](#) **Error! Bookmark not defined.**
8. [სამუშაო ძალა](#) **Error! Bookmark not defined.**
9. [აღჭურვილობის რესურსები სამუშაო ტერიტორიაზე](#)..... **Error! Bookmark not defined.**
10. [სქემები](#)..... 13

1. პროექტის აღწერა

ბათუმი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქს და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ წინსვლაში და ტურიზმის განვითარებაში. სანაპირო ზოლის გაუმჯობესება სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტთა შორის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქისა და რეგიონის მომავალ განვითარებას.

ქვის ჯავშნის დეტალური პროექტის შემუშავება 2015 წელს დაიწყო, იმ კვლევების შემდეგ, რომელიც საჭირო იყო „ხისტი“- დეზების მოწყობის გათვალისწინებით შემუშავებული გადაწყვეტიდან უფრო მოქნილ გადაწყვეტაზე გადასასვლელად, როგორცაა სანაპიროს შევსება. ხანგრძლივი პროცესის შემდეგ, 2016 წელს ეს გადაწყვეტა დამტკიცებულ იქნა. დეტალური პროექტი დაეფუძნა 2014 წლით დათარიღებულ ბათიმეტრულ კვლევას, დეტალური პროექტირების დაწყების შემდეგ შემოწმების შედეგად მოულოდნელი ცვლილებები არ გამოვლენილა.

შემდგომი ორი წლის განმავლობაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა იმ ინტენსიურობით, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა უკანასკნელი 15 წლის გამოცდილებიდან.

2017 წლის მაისში, მგფ-ს სპეციალური დაკვეთის საფუძველზე, ეროზიის მიზეზების ასახსნელად და ქვის ჯავშნის მონაკვეთების ადაპტაციის გადაწყვეტის შემოსათავაზებლად Technital-მა წარმოადგინა ამ უჩვეულო ეროზიასთან დაკავშირებული ანგარიში.

ბათუმის ნაპირდაცვის შემოთავაზებული პროექტი B გარემოსდაცვით კატეგორიას განეკუთვნება (ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, 2009); B კატეგორიაში გაერთიანებული ინფრასტრუქტურა მშენებლობის პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ სავარაუდოდ არ გამოიწვევს მნიშვნელოვან შეუქცევად ან მუდმივ უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე.

შემოთავაზებული პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ბათუმის სანაპიროს დაცვა ეროზიისაგან. ბათუმის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სანაპირო ზოლის 5 კმ-იანი მონაკვეთი ეროზიას განიცდის. ამ მონაკვეთის გასწვრივ წარსულში უკვე დაიკარგა რამდენიმე სახლი და დამუშავებული მიწის ნაკვეთები. ადეკვატური დამცავი ზომების არარსებობის შემთხვევაში, სანაპიროს ეროზიას აეროპორტის მიმართულებით გაგრძელდება და შესაძლოა ბათუმის სანაპირო ზოლი და პლაჟებიც კი მოიცვას. სანაპიროს სამხრეთ ნაწილის პლაჟის ეროზიისაგან დასაცავი ალტერნატივების შეფასება ცხადყოფს რომ პლაჟის დაცვის და აღდგენის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მსუბუქი ჩარევა, რაც გულისხმობს ნატანის რეცირკულაციას ნაპირის ჩრდილოეთ მონაკვეთს (სადაც იგი აკუმულირდება ბუნებრივი გადატანის მოდელის საფუძველზე) და სამხრეთ წილს შორის (საიდანაც ხდება მისი

გადატანა ეროზიის გამო).

ზემოთმოყვანილი ნაპირდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) კონტრაქტი გაუფორმა Struijk Group საქართველოს ფილიალს (Struijk). სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტს მგფ-მა და Struijk-მა 2016 წლის 15 ნოემბერს მოაწერეს ხელი, ამ კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობა 20 -დან 34 თვემდე პერიოდს მოიცავს. პროექტი 2017 წლის თებერვალში დაიწყო.

პროექტის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ: დამკვეთი - "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი" – (მგფ), საკონსულტაციო, საზედამხედველო და საპროექტო ორგანიზაცია - "Technital" & "Saunders Group" (ინჟინრები) და კონტრაქტორი - "Struijk Group საქართველოს ფილიალი".

2. შესავალი

პროექტის განხორციელებისას, საპროექტო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა წარმოიშვას გარემოსდაცვით და სოციალურ უსაფრთხოებასთან და უფლებრივ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოების ინტენსიური გრაფიკი, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის შეუსაბამო განრიგი, სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მყარი ნარჩენების დაგროვება, ხმაური და ჰაერის დაბინძურება, ეკოლოგიის ხელისშემშლელი ფაქტორები, კონფლიქტი მიგრანტი მუშების კულტურებს შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების იმ გარკვეულ საკითხებს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა საპროექტო საქმიანობების შედეგად წარმოიშვას.

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის პირდაპირი არხის უზრუნველსაყოფად, რათა მათ მიეცეთ წვდომა პროექტის ხელმძღვანელობასთან და იმის საშუალება, რომ მათი საჩივრები სათანადო დროის ინტერვალში აღირიცხოს და დაკმაყოფილდეს, პროექტის ფარგლებში მგფ-ს ძალისხმევით საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი შეიქმნა.

ობიექტზე შეიქმნა და ხელმისაწვდომია საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი. ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ასევე წარმოდგენილია ამ ჟურნალის ასლი, საჩივრებთან დაკავშირებული შესაბამისი საკონტაქტო პირების -კონტრაქტორი კომპანიის სოციალური მენეჯერი, მათი ხანდურდიევა და ადგილობრივი მაცხოვრებლები კახაბერ ბერიძე და ზეინაბ ცინცაძე - მობილური ტელეფონების ნომრებით. ორივეგან ხორციელდება მოსახლეობის იმგვარი საჩივრების მიღება, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საკითხებთან და იწვევს მათ შეწუხებას ან მათთვის დისკომფორტის შექმნას SSEMP-ის (კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა) არასათანადოდ ან

არადეკვატურად შესრულების გამო. საჩივრების არსებობის შემთხვევაში, ისინი დარეგისტრირდება მონაცემთა ბაზაში და მიენიჭება რიგითი ნომერი თარიღის აღნიშვნით. იმ შემთხვევაში, თუ წამოჭრილი პრობლემა რეალისტურია, მოხდება ამ საჩივრის გამოძიება და მომჩივანს მიეწოდება ინფორმაცია დროის იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, რომლის განმავლობაშიც შემასწორებელი ზომა განხორციელდება.

გარკვეულ შემთხვევაში, საჩივარი, რომლის დაკმაყოფილებაც კონტრაქტორის უშუალო პასუხისმგებლობას წარმოადგენს, შესაძლოა ეფექტურად იქნას დაძლეული კონტრაქტორი კომპანიის და ზედამხედველი კონსულტანტის დონეზე, მგფ-სა და აზიის განვითარების ბანკის ჩართულობის გარეშე.

ის საჩივრები, რომელიც შესაძლებელია კონტრაქტორი კომპანიის ან ზედამხედველი კონსულტანტის დონეზე გადაწყდეს მოიცავს:

- კონტრაქტორის საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემებს;
- გარემოზე ზემოქმედების მართვას;
- თემის უსაფრთხოებას.

მგფ, როგორც EA, ხელს უწყობს საჩივრების მოგვარებას პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული საჩივრების მოგვარების პროცესის (GRP) განხორციელების გზით. თუ ასეთი საჩივრები იგზავნება მგფ-ში, იგი მიაწვდის საჩივრებს შესაბამის ხელმძღვანელობას. ოფიციალური ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ მოსახლეობისგან ან სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საჩივრების მოგვარების მექანიზმის (GRM) ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საპროექტო ობიექტზე ყოველთვიურად ტარდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ღონისძიებები GFP-ების და CC და SC პერსონალი მონაწილეობით. შეხვედრებზე მონაწილეები განიხილავენ რამდენიმე სხვადასხვა საკითხს; განსაკუთრებული ინტერესი ადგილობრივი მაცხოვრებლების მხრიდან გამოითქვა ზაფხულის პერიოდში საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით. მათ ყურადღება გაამახვილეს ზაფხულის სეზონზე პლაჟების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე.

2019 წლის ზაფხულის სეზონის განმავლობაში, მონაკვეთებად დაყოფილ გახსნილ ბულვარზე თანდათანობით განხორციელდება გარკვეული საქმიანობები: მოსამზადებელი სამუშაოები ბეტონის ჩასასხმელად, ხრეშის მოსწორება, ნიადაგის ზედა ფენის უკუჩაყრა თხრილში. პერიოდულად, ბულვარის ერთი მონაკვეთი დაიკეტება სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად, რაც ხელს არ შეუშლის ადგილობრივების/ტურისტების პლაჟზე

წვდომას, რადგან მათთვის მისასვლელი შემდეგი შესასვლელიდან იქნება უზრუნველყოფილი. კონტრაქტორი კომპანიის მხრიდან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციას დანიშნულია მამუკა შაორშაძე. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტისათვის საჭირო ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადებაზე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ტრენინგების ჩატარებაზე, ყოველდღიურად არაფორმალური შეხვედრების განხორციელებაზე უსაფრთხოების საკითხებზე კონკრეტული სამუშაოსთან დაკავშირებით, ახალი თანამშრომლებისთვის ან ობიექტის დამთვალეირებლისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საიტის გაცნობის ჩატარება, ყოველთვიური ანგარიშების მომზადება, დამდგარი ან თავიდან აცილებული შემთხვევების აღრიცხვა და ამ ჩანაწერების მიწოდების უზრუნველყოფა ზედამხედველი კონსულტანტსა და პროექტის განმახორციელებლისთვის, დამდგარი შემთხვევის გამოძიების ანგარიშის და შემამსუბუქებელი ღონისძიებების მომზადება, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი განმეორება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკონტროლო სიის რეგულარულად შევსება, სამუშაოს ყოველდღიური მონიტორინგი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

აგბ-ის მისიამ მიმართა თხოვნით კონტრაქტორს, მგფ-სთან კოორდინაციით შეიმუშაოს მეთოდოლოგიის და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა, რათა სამშენებლო სამუშაოები სათანადოდ იქნას ორგანიზებული ზაფხულის პერიოდში.

3. სამუშაოების სფერო

ამ გეგმის მიზანს წარმოადგენს იმ ინფორმაციისა და მეთოდის მოწოდება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ტურისტების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ზაფხულში, ღია სანაპირო მონაკვეთის პერიოდში; გეგმაში ასევე მოცემული იქნება ინფორმაცია არსებული რისკებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარებაც საჭიროა ამ რისკებთან გასამკლავებლად და სიფრთხილის ყველა ზომის გასატარებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღია მონაკვეთის უსაფრთხოება.

4. რისკების შეფასება მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში და ზაფხულის სეზონზე

საქმიანობა	რისკის იდენტიფიკაცია	რისკის დონე	მიღებული ზომები	შერბილების შემდგომი რისკი	პასუხისმგებელი პირი
ტერიტორიის საზღვრების დარღვევა	რისკს წარმოადგენს აღჭურვილობასთან, ან სამუშაოების წარმოების ტერიტორიასთან მიახლოება, რაც სახიფათოა	მაღალი	პლაჟთან მისასვლელის დახრილი ფერდები შემოისაზღვრება ღობით, პლაჟის მისასვლელის და (საპროექტო) ტერიტორიის განცალკევების მიზნით; გვერდებზე მოწყობილ ღობეებზე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები, რათა მოხდეს ადგილობრივების და ტურისტების ინფორმირება არსებული რისკებისა და აკრძალული საქმიანობის, ან რაიმე საფრთხის შესახებ; ტერიტორიის საზღვრების რეგულარულ მონიტორინგს განახორციელებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი, იმისთვის, რომ ტურისტებმა, ან ადგილობრივებმა ღია მონაკვეთიდან, არ გადაკვეთონ ტერიტორიის საზღვრები და თავიდან იქნას აცილებული მათი იმ ტერიტორიაზე შესვლა, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები	საშუალო	ობიექტის მენეჯერი ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი
ღია მონაკვეთის საზღვრების ნაპირთან ცურვა	ღია მონაკვეთიდან შესვლის რისკი ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები. ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელია მოცურავეების მიერ ზღვის საშუალებით, რადგან ტერიტორიის საზღვრები შესაძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს - ცურვის პროცესში	საშუალო	ღია მონაკვეთის ხაზების კიდებთან - ზღვაში, მოხდება ტივტივა მარკერების უზრუნველყოფა, რათა მოხდეს ღია ტერიტორიის მარკირება ზღვაში, იმისთვის, რომ მოხდეს დასაშვები ტერიტორიის მითითება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცურვის მიზნით, საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურთან კონსულტაციის საფუძველზე	დაბალი	ობიექტის მენეჯერი ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი
მიწის სამუშაოები, პლაჟის მოსამზადებელი (სამუშაოების) დასაწყებად	პლაჟის დაბინძურების რისკი, მძიმე აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის, ან სამუშაოების გამო	დაბალი	კონტრაქტორი იყენებს მხოლოდ აღჭურვილობას, რომელიც შემოწმებული და კარგ სამუშაო მდგომარეობაშია; (საპროექტო) ტერიტორიაზე ზეთის დაღვრის შემთხვევაში, ასევე მძიმე აღჭურვილობასთან მიმართებაში	დაბალი	ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი
			გამოსაყენებელი აღჭურვილობის (სატენები და სადებები) უზრუნველყოფა. ასევე მოხდება მძიმე აღჭურვილობის შემოწმების საკონტროლო სიის წარმოება ყოველდღიურად;		ობიექტის მენეჯერი

მტვერი	მტვერის ემისია	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> - ვიზუალური კონტროლი; - მექანიზმების ტექნიკური შემოწმება; - (საპროექტო) ტერიტორიასთან მისასვლელი გზების მორწყვა-პერიოდულად; - სამშენებლო მასალების გადამზიდი სატვირთო ავტომობილების დასველება, ან გადახურვა; - სამუშაოების შეწყვეტა, ძლიერი სანაპირო ქარების დროს; - დეფექტური აღჭურვილობის დაუყონებლივ გამოცვლა და გატანა სამუშაო ტერიტორიიდან; - საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბარიერების გამოყენება ძირითადი გზის დერეფნების გასწვრივ, სენსიტიურობის შემთხვევაში (C). 	დაბალი	<p>ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი</p> <p>ობიექტის მენეჯერი</p>
ხმაური	ხმაურის ემისია	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> - ვიზუალური კონტროლი; - გაზომვა; - მექანიზმების ტექნიკური შემოწმება; - მრავის ტექნიკური მომსახურების გრაფიკების და სტანდარტების დაცვა, ხმაურის შესამცირებლად; - გადაზიდვისთვის განსაზღვრული, კარგად დაგეგმილი მარშრუტების გამოყენება და სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემცირება, საჭიროების შესაბამისად; - დეფექტური აღჭურვილობის დაუყონებლივ გამოცვლა და გატანა სამუშაო ტერიტორიიდან (C). 	დაბალი	<p>ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი</p> <p>ობიექტის მენეჯერი</p>
სამუშაო პროცესი მონაკვეთების მიხედვით ზაფხულის სეზონზე (მოსამზადებელი არმატურა, ბეტონის სამუშაოები და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის უკუჩაყრა)	მესამე პირის უნებართვო შესვლა (საპროექტო) ტერიტორიაზე (ტურისტები/ადგილობრივი მაცხოვრებლები)	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> - ვიზუალური კონტროლი; - შემოღობვა მეტალის ღობეებით მონაკვეთების მიხედვით (150 მ); - მოეწყობა სპეციალური უსაფრთხოების ნიშნები: (სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს დაუშვებელია უნებართვო შესვლა ტერიტორიაზე; (ტერიტორია) დაიხურება ღამით: 21:00 სთ-დან 07:00 სთ-მდე; პლაჟზე შესვლის ინსტრუქციები; არ ახვიდეთ კლდეზე, თქვენი უსაფრთხოებისათვის); 	დაბალი	<p>ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი</p> <p>სოციალური მენეჯერი</p>

			<ul style="list-style-type: none"> - უსაფრთხოების ნიშნები მოეწყობა პლაჟის ყოველ შესასვლელში (კიბეები); - ყველა მისასვლელი დაკეტილი იქნება ღამით: 21:00 სთ-დან 07:00 სთ-მდე; - მშენებლობის კონტრაქტორი უზრუნველყოფს დაცვის ერთ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დროებითი ღობეების დახურვასა და გაღებაზე პლაჟის ტერიტორიის მისასვლელთან; 		
მუშაობა ზაფხულის სეზონზე	ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი მდღეღვარება ზაფხულის სეზონზე ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებით, ინფორმაციის ნაკლებობის გამო და სამუშაოებისა და მათი ბიზნესის ურთიერთმიმართების მიზეზით	სამუშაო	პლაჟის მონაკვეთის გახსნამდე გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა ისეთ ადგილას, რომელიც მოსახერხებელი იქნება როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე დაინტერესებული მხარეებისთვის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებზე პრევენტივის გასამართად - ზაფხულის პერიოდში	დაბალი	ხარისხის, შრომის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი სოციალური მენეჯერი

5. ოპერატიული ინსტრუქციები კონტრაქტორის, დამკვეთის, ინჟინრებისა და მუნიციპალიტეტისთვის

კონტრაქტორი: კონტრაქტორი პასუხისმგებელია პლაჟის გახსნის მოსამზადებელ სამუშაოებზე, კერძოდ, ტერიტორიის დამსხვრეული ბეტონისა და ბასრი რკინის (ნაწილებისგან) გაწმენდაზე, პლაჟის სათანადო დახრილობის და გასახსნელი მონაკვეთის საზღვრების სათანადო მარკირების უზრუნველყოფით. (კონტრაქტორი ასევე პასუხისმგებელია) უსაფრთხოების ნიშნების დადგმაზე - ღობის მხარეს, სასიგნალო მოწყობილობის (ფლაგმანების) მოწყობაზე სატრანსპორტო მოძრაობის მართვის უზრუნველსაყოფად, სატვირთო ავტომობილების და ფეხით მოსიარულეთა გადაკვეთის წერტილებში. (კონტრაქტორი პასუხისმგებელია) ბუფერული ზონის უზრუნველყოფაზე ღია მონაკვეთსა და იმ ტერიტორიას შორის, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები და ა.შ. კონტრაქტორი მოამზადებს პრეზენტაციას Power Point-ის ფორმატში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო განხილვისა და დისკუსიების წარმართვის მიზნით. კონტრაქტორი პასუხისმგებელია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის მომზადებაზე და აღნიშნული დოკუმენტის დამკვეთისთვის (მგვ) მიწოდებაზე. კონტრაქტორი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ სამუშაოებზე (აქტივობებზე), რასაც ადგილი ექნება სამუშაო ტერიტორიის საზღვრებში და რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს

ღია პლაჟზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოებაზე.

სამშენებლო კონტრაქტორი „სტრუიკ გრუპ ჯორჯია“ (Struijk Group Georgia) უზრუნველყოფს ერთი დაცვის თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დროებითი ღობეების დახურვაზე და გახსნაზე (დილის 07:00 სთ-დან საღამოს 09:00 სთ-მდე) - პლაჟის ტერიტორიის შესასვლელებთან. 2019 წლის ზაფხულის სეზონზე, დროებითი ღია ტერიტორიის მონიტორინგს განახორციელებს დაცვა - ღამის საათებში, რამდენჯერმე.

ღია ტერიტორიას დაიცავს დაცვის ოთხი თანამშრომელი, რათა არ მოხდეს ადგილობრივების/ტურისტების შეღწევა სამუშაო ტერიტორიაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელი იქნება ტერიტორიის უსაფრთხო მართვაზე, მისი გახსნისთანავე (როგორც ეს ხდება ზოგადად, სანაპირო ზოლის გასწვრივ არსებულ პლაჟის სხვა ტერიტორიებთან მიმართებაში) - ზაფხულის სეზონზე, რადგან აღნიშნულ პერიოდში პროექტის გახსნილი მონაკვეთი იფუნქციონირებს პლაჟის სახით, რაზეც პასუხისმგებელ ორგანოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი წარმოადგენს.

სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს 4 (ოთხ) მაშველს. ორი მათგანი განთავსდება მოძრავ კომპურაზე და გააკონტროლებს წყალში ცურვის დროს გამოვლენილ ნებისმიერი სახის ინციდენტს. მათი სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 09:00 სთ-დან საღამოს 09:00 სთ-მდე. ამასთან, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო გამოყოფს წყლის ერთ სკუტერს, ყოველდღიურად ტურისტებისა და ადგილობრივების გასაკონტროლებლად (დილის 07:00 სთ-დან საღამოს 09:00 სთ-მდე) - წყალში ცურვის დროს. მაშველები გააკონტროლებენ ღია მონაკვეთს (750 მ) დილის 07:00 სთ-დან საღამოს 09:00 სთ-მდე. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს სამაშველო ტივტივებს (რგოლებს), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბათუმის დასუფთავების სამსახური პასუხისმგებელია სანიტარულ კონტროლზე, რათა უზრუნველყოს ღია მონაკვეთზე წარმოქმნილი ნარჩენების გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ლოკაციები და ხანგრძლივობა:

პერიოდი 15/06/2019 -დან 30/09/2019-მდე	არხიდან:	არხამდე:
პლაჟის ღია ტერიტორია	არხი 1.030	არხი 2.000
ბუფერული ზონა	არხი 0.980	არხი 1.030
საპროექტო ტერიტორია. სამუშაოები აღნიშნულ ტერიტორიაზე	არხი 980	არხი 0.250

- პლაჟის ღია ტერიტორიები:

აღნიშნული ტერიტორიები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

- ბუფერული ზონა:

აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება საპროექტო ტერიტორიას. ჩვენ შევქმნით აღნიშნულ ტერიტორიას, პლაჟის ღია ტერიტორიასა და სამუშაო ტერიტორიას შორის უსაფრთხო ტერიტორიის უზრუნველყოფის მიზნით.

- საპროექტო ტერიტორია. სამუშაოები აღნიშნულ ტერიტორიაზე:

სამუშაოები განხორციელდება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

7. სამუშაოები

სამუშაო ტერიტორიაზე მოხდება შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- კლდოვანი ქანების მიტანა და განთავსება პლაჟზე [არხი-0,980 - არხი-0,000];
- ზოგადი მიწის სამუშაოები და ტრანსპორტირება სასაწყობე ტერიტორიაზე;
- უკუ-ჩაყრა საყრდენზე;
- რკინა-ბეტონის პარაპეტი და პლაჟზე მისასვლელელები;
- სარემონტო სამუშაოები ბეტონის პარაპეტი და პლაჟზე მისასვლელელები;
- მიწის სამუშაოები და საძირკველი, კორექტირებული ბულვარის რეალიზაციისთვის;
- ბეტონის სამუშაოები - კორექტირებული ბულვარი ;
- მდ. ჭოროხის შესწავლა;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტების ბოქსის წარმოება;
- მონიტორინგი; (საპროექტო) ტერიტორიის შემოწმება.

პლაჟის გახსნა არ ითვალისწინებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობის ზრდას და არ მოახდენს ზემოქმედებას კონტრაქტორის კალენდარულ გრაფიკზე.

8. სამუშაო ძალა


პოზიცია	რაოდენობა
ობიექტის მენეჯერი	1
ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის	1

მენეჯერი	
მშენებელ-ინჟინერი	1
სოციალური საკითხების მენეჯერი	1
გეოდეზისტები	2
ექსკავატორის ოპერატორები/მუხლუხას ოპერატორები	5
დაცვა/მხოლოდ ღამის ცვლა	1
ავტო-დამტვირთავი ოპერატორი	1
გრეიდერის ოპერატორი	1
სატკეპნი	1
ბეტონის სამუშაოების მწარმოებლები	35
მესიგნალები (ფლაგმანები)	3
ჯამი	53

9. აღჭურვილობის რესურსები სამუშაო ტერიტორიაზე

#	ტექნიკური რესურსების/აღჭურვილობის აღწერა:	სახეობა, აღწერა:	ერთეულის რაოდენობა
1	ექსკავატორი (ექსკავატორები)	40 ტონა -60 ტონა	2
2	ექსკავატორი (ექსკავატორები) ჩამჩით და/ან ჰიდრაულიკური სანგრევი ჩაქუჩით	25 ტონა - 40 ტონა	5
3	ბულდოზერი	Cat D6 ან Cat D7 ან მსგავსი	2
4	ავტო თვითმცლელი	15 მ ³ – 20 მ ³	20
5	ავტო-დამტვირთავი	Cat 966 ან Cat 980 ან მსგავსი	2
9	ტელესკოპური ამწე	60 ტონა	1
10	გენერატორის კომპლექტი	20 კვა	3
11	ბეტონ-მრევი	6~9 მ ³	3
12	ბეტონის ტუმბო	20 მ ³ საათში	1
13	კონტეინერები	20 ფუტი	5
14	საველე ოფისი (ობიექტის ტერიტორიაზე)	20 ფუტი	5
15	სატრანსპორტო საშუალებები	Toyota Hi-Lux	3
16	ბათიმეტრიული კვლევის აღჭურვილობა	V-OFF170010	1
17	GPS (ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური სისტემა) სისტემა კვლევისთვის	Trimble SPS985L	1
18	ნავი, კვლევისთვის		1
19	დრონი – კვადროკოპტერი		1

10. სქემატი



**Opening Beach during Summer Season 2019
(15 June - 30 September)
ch 1030 to ch 2000**

